ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1115072

ნომერი: AR1195453

თარიღი : 06.02.2014

გაცემის თარიღი : 10.02.2014

გაცნობის თარიღი : 12.09.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა შეშელიძე , N 17 , (ნაკვ.1/13) ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- რევაზ ებრალიძე პ/ნ 01019015988
- გლდანი ნაძალადევი, ცინცაძის II შეს. #5

ორგანიზაცია:
- ბიჯი ჯგუფი კოდი: 200268021

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობა
  ახალი მშენებლობა

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

I კლასის დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობის განთავსების შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენი განცხადება თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი – გლდანი, შეშელიძის ქუჩა #17 (ნაკვეთი 1/13), შპს "ქსანი"-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე I კლასის დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობის განთავსების შესაძლებლობას. პასუხად გაცნობებთ, რომ ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტისშესაბამისად თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები _ თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომლის მონტაჟი არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მერიის სსიპ ,,თბილისის არქიტექტურის სამსახური".

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N 882013294594 26/06/2013 წ. საკადასტრო კოდი N 01.11.17.001.013; საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი – გლდანი, შეშელიძის ქუჩა #17 (ნაკვეთი 1/13), შპს "ქსანი"-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე I კლასის დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობის განთავსების შესაძლებლობას, დროებითი სტატუსით.
აქვე გაცნობებთ, შენობა-ნაგებობის მშენებლობისას ვალდებული ხართ დაიცვათ კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები:
• საკადასტრო საზღვრიდან მინიმალური დაშორება 3 მეტრზე ნაკლების დროს სამეზობლო მხარეს არ შეიძლება კარის და ფანჯრის მოწყობა, ან შესაძლებელია მოეწყოს მინაბლოკი.
• სამშენებლო მიწის ნაკვეთის საზღვარზე, მეზობლის მიწის ნაკვეთის მხარეს შენობის სახურავის მოწყობისას დამკვეთმა/მესაკუთრემ უნდა უზრუნველყოს ისეთი საინჟინრო ღონისძიებების განხორციელება, რაც ააცილებს ატმოსფერული ნალექების მოხვედრას მეზობლის მიწის ნაკვეთში.
• საკადასტრო საზღვრიდან მინიმალური დაშორება 5 მეტრზე ნაკლების დროს სამეზობლო მხარეს ხის მასალა უნდა იქნას დამუშავებული ცეცხლმედეგი ხსნარით.

ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.